კომპოზიტური მასალები COMPOSITE MATERIALS

№ 36/1 "2" ოქტომბერი 2020 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს ,,კომპოზიტური მასალები'', გარდაბნის მუნიციპალიტეტში, შპს „მტკვარი ენერჯი"-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, გეგმავს კომპოზიტური პლაკირებული ფხვნილების მცირე საწარმოს მოწყობას და ექსპლუატაციას.

დაგეგმილ საქმიანობაზე, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 23 სექტემბრის N2-847 ბრძანების შესაბამისად გაცემულია N74; 21.09.2020 სკოპინგის დასკვნა.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-10 მუხლისა და ზემოაღნიშნული სკოპინგის დასკვნის გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, შპს „კომპოზიტური მასალები"-ს „კომპოზიტური პლაკირებული ფხვნილების საწარმოს (შუალედური პროდუქტის ქიმიური დამუშავებით ქიმიური ნივთიერების წარმოება) მოწყობის და ექსპლუატაციის საწარმოს" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

დანართი:

1. „კომპოზიტური პლაკირებული ფხვნილების საწარმოს (შუალედური პროდუქტის ქიმიური დამუშავებით ქიმიური ნივთიერების წარმოება) მოწყობის და ექსპლუატაციის საწარმოს" გზშ-ის ანგარიში - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
2. ზემოაღნიშნული საქმიანობის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
3. ზემოაღნიშნული საქმიანობის ნარჩენების მართვის გეგმა - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - 3 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
5. საწარმოს განთავსების ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით და 1-4 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების ელ ვერსია - 1 CD;
6. საწარმოს განთავსების ტერიტორიის სიტუაციური რუკა;
7. გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი;
8. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
9. შპს „მტკვარი ენერჯისა" და შპს „კომპოზიტურ მასალებს" შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

პატივისცემით,

მალხაზ იასეშვილი
შპს „კომპოზიტური მასალები"-ს დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო № 16029 "09" 10 2020 1/11/CD 02

საქართველო, ქ. გარდაბანი 1300, დ. აღმაშენებლის ქ. 2ა; D. AGMASHENEBELI STR. 2A, GARDABANI, 1300 GEORGIA
TEL.: +995 577 517 751